



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### კურდღლისცოცხა (Genista)



კურდღლისცოცხა

კურდღლისცოცხა (Genista), მცენარეთა გვარი პარკოსანთა ოჯახისა. ბუჩქები ან ბუჩქბალახებია. 70-ზე მეტი სახეობა ძირითადად გავრცელებულია ხმელთაშუაზღვისპირეთში.

საქართველოში გვხვდება 9 სახეობა, აქედან 6 – საქართველოს, ხოლო 2 – კავკასიის ენდემია. იზრდება მთის ქვედა სართულიდან ალპურ სართულამდე მშრალ, კლდოვან და ქვიან ფერდობებზე, მდელოზე, ტყესა და ბუჩქნარებში. ძველად კ-ს ფოთლებიდან, ღეროებიდან და ყვავილებიდან

იღებდნენ ქსოვილის ყვითელ საღებავს.

**ი. მიქელაძე**

---